



საზღაპვმვკო ქრისტვიანყული უყუნნალი

3
2021



შეგეჟისცემის ძე

რ. ტ.

და იმედგაპსრუეზის ძე

ისტორიამ, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ თქვენთვის, შეძრა იუდეაში მცხოვრები ბევრი ადამიანი იესო ქრისტეს მოციქულების მსახურების დროს.

იმ შორეულ დღეებში ადამიანები ღმერთის ეკლესიაში იმდენად შეკრულები და ერთიანები იყვნენ, რომ მათ შორის ვერავის იპოვიდი გაჭირვებულს, — ისინი ზრუნავდნენ ერთმანეთზე. ქრისტიანები, რომლებიც შედარებით შეძლებულები იყვნენ, ყიდდნენ თავიანთ მიწებს, სახლებს და მიღებული ფული მოჰქონდათ მოციქულებთან. ისინი თავის მხრივ ამ ფულს იმ ქრისტიანებს შორის ანაწილებდნენ, რომლებიც გაჭირვებულები იყვნენ.

ერთმა კაცმა, სახელად იოშიამ, ასევე გაყიდა თავისი მიწა, და ფული იესოს მოწაფეებთან მოიტანა. მისი კეთილი ქცევა და უზვი გული შესანიშნავი მაგალითი იყო სხვა მორწმუნეებისათვის, ამიტომაც ქრისტიანებმა მას სახელი შეუცვალეს და იოშიას ნაცვლად ბარნაბა შეარქვეს, რაც „ნუგემისცემის ძეს“ ნიშნავს. და მართლაც, იოშიას წვლილი ღმერთის მსახურებაში დიდი იყო — ის სიხარულით ეხმარებოდა ძმებს და იმ ადამიანებსაც, რომლებიც ჯერაც არ იცნობდნენ ქრისტეს. იოშია სიკეთეს აკეთებდა, და თავის თავზე კი არ ფიქრობდა არამედ იმაზე, კიდევ რითი და როგორ გაეწია თავისი მხსნელის სამსახური. მოციქულები ენდობოდნენ იოშიას და ძალიან უყვარდათ ის.

თუმცა იესოს მიმდევრებს შორის იყო სხვაც, ვისაც შეშურდა იოშიას კეთილი სახელი. მას ანანია ერქვა. ის უფრო თავის თავზე ფიქრობდა, ვიდრე უფლის სამსახურზე.

ანანია მოელაპარაკა თავის ცოლს, საფირას, და მათ გადაწყვიტეს მოტყუებით მოეპოვებინათ სახელი და მიეღოთ შექება იესოს მოციქულებისგან.

ნახატი ლ. ი.

მათ ბარნაბას მსგავსად გაყიდეს მამული. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბარნაბამ მთელი ფული მოიტანა ეკლესიაში, ანანიამ და საფირამ კი ასე გადაწყვიტეს: „ჩვენ მოციქულებს მივცემთ მიღებული ფულის მხოლოდ ნაწილს და ვიტყვი, რომ ჩვენი მიწა ამდენი ღირდა. ამით იოშიაზე ნაკლებ სახელს არ დავიმსახურებთ, ამასთან ფულიც დაგვრჩება.“ მათი გეგმა ძალიან ეშმაკური იყო. მაგრამ ღმერთი ხედავდა ამ ადამიანების ბოროტ გულებს და მათი ჩანაფიქრი გაუხსნა მოციქულ პეტრეს.

როცა ანანია მივიდა იესოს მოწაფეებთან, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე თქვა: „აი მოვიტანე მიწის გაყიდვით მიღებული მთელი ფული!“ მან მოიტყუა, იმით რომ თავის თავზე ფიქრობდა და არა ეკლესიის კეთილდღეობაზე.

თუმცა პეტრემ, ანანიას მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ შეაქო ის და არ უთხრა მადლობა გაკეთებული საქმისთვის. პირიქით, ის ძალიან დაღონდა და ღრმა მწუხარებით წარმოთქვა ის სიტყვები, რაც ღმერთმა უბრძანა: „ანანია, ნუთუ სატანა იმდენად დაეუფლა შენს გულს, რომ ეცრუე სულიწმიდას; შენ ხომ დაიტოვე ფულის ნაწილი, რომელიც მიიღე გაყიდული მიწის საფასურად? ის მიწა, რომელიც გაყიდე, გაყიდვამდე ხომ შენი იყო და ის ფულიც, რომელიც მიიღე მის სანაცვლოდ ასევე შენ გეკუთვნოდა და შეგეძლო შენი ნებისამებრ მისი განკარგვა. რატომ მოიფიქრე ასეთი ტყუილი? ანანია, შენ ეცრუე არა ადამიანებს, არამედ ღმერთს!“

ეს სიტყვები ანანიასათვის საშინელი განაჩენის მსგავსი იყო. მათი გაგონების შემდეგ, ის მიწაზე უსულოდ დაეცა. ყველა იქ მყოფი, ისე შეშინდა, რომ სიტყვის თქმის თავიც აღარ ჰქონდათ.

იმავე დღის საღამოს, მოციქულებთან ანანიას ცოლიც მივიდა. და კვლავ გაისმა პეტრეს წყნარი ხმა: „მითხარი, ამდენად გაყიდეთ მიწა?“ — ჰო, — მშვიდად უპასუხა საფირამ, — ამდენად“. — „რატომ შეკარით პირი უფლის გამოსადეგლად? — წამოიძახა პეტრემ. — აი, შენი ქმარი მოკვდა და შენც მოკვდები“. იმავე წამს საფირაც მკვდარი დაეცა მის ფერხით.

ღიდი შიში დაეცათ მაშინ არა მხოლოდ ეკლესიაში მყოფ ადამიანებს, არამედ მათაც, ვინც ჯერაც არ იცნობდა იესო ქრისტეს. ვინ იფიქრებდა, რომ პატრიმოყვარობასა და ეშმაკობას ასეთ ტრაგიკულ დასასრული ექნებოდა?!

ღმერთს ძალიან ვუყვარვართ ჩვენ. მას არ სურს, რომ ადამიანები თავისი ცოდვების გამო იღუპებოდნენ, პირიქით, ის მზად არის მიიღოს ყველა, ვინც გულწრფელად ინანიებს ცოდვებს და ითხოვს პატიებას!

როგორ ფიქრობ?

1. რატომ გადაწყვიტეს პირველმა ქრისტიანებმა ყველაფერი საერთო ჰქონოდათ?
2. რატომ მოატყუა ანანიამ მოციქულები?
3. რას მოაქვს უფრო მეტი სიხარული, საკუთარ თავზე ფიქრს თუ სხვა ადამიანებზე ზრუნვას?

ამბავი იოშიაზე და ანანიაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ საქმეების წიგნში (4:32—5:11).

ნაწარჩევეთა

ჯუმბერმა მთელი მსოფლიო შემოიარა, სად ადარ იყო. პირველად მამონალოგების საყვარელ ჩრდილოეთის ქალაქში ჩავიდა. მიდგა-მოდგა, შეაწუხა ვიდაცეები, მაგრამ არაფერი გამოვიდა ოქროების მისაღები არხები დაკავებული და დაგმანული გახლდათ. სადაც რაღაც შესაძლებლობა არსებობდა, იქ იმდენად ცოლდა, რომ ჯუმბერისნაირები უბრალოდ გაიყინებოდნენ. გარდა მაგისა, იქ წესების მიხედვით თამაში, ჯერაც მიუღწეველი ოცნება გახლდათ და ჯუმბერმა, ვინც მიჩვეული იყო გარკვეული კანონიერი თუ არაკანონიერი წესების მიხედვით მოქმედებას, სახიფათოდ ჩათვალა ასეთ რისკზე წასვლა. მოკლედ არაფერი გამოვიდა. შემდეგ ჯუმბერი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა, შემდეგ სამხრეთისკენ. გავიდა კარგა ხანი. ჯუმბერი ხელმოცარული დახეტილობდა სხვადასხვა ქვეყნებში და თავის თანამოძმე მამონალოგებს მშრალ და მოკლე ი-მეილებს უგზავნიდა: „არაფერი, ჯერ არაფერი!“

ბოლოს, ერთი წლის გასვლის შემდეგ, უკვე ამათ მიწერეს მას: „ჩამოდი შე კაცო, რაღას დადიხარ, ფულს რაღას გვახარჯვინებ ტყუილად. . .“ ჯუმბერმა ეს ი-მეილი რომ მიიღო, იმ დროს ნიუფაუნდლენდზე იმყოფებოდა. იქიდან უნდოდა კანადაში შემემრალიყო. შეტყობინების მიღების შემდეგ, ადარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: წამოსულიყო თუ ხელსაყრელ დროს დალოდებოდა კონტინენტზე მოსახვედრად. ლოდინში კიდევ გავიდა დღეები და კიდევ უფრო აცოდა — ნიუფაუნდლენდიც არ არის თბილი ადგილი. რაღაც იზავდა ჯუმბერი, ადგა და გამოემგზავრა სამშობლოში. ჩამოსვლის შემდეგ, ერთ კვირაში შეიკრიბა მამონალოგების პარტ-აქტივი, იმსჯელეს მიმდინარე სიტუაციაზე ქვეყნის შიგნით და მიიღეს გადაწყვეტილება ყველაფერი ისე დაეტოვებინათ, როგორც იყო. ჯუმბერი გააკრიტიკეს ზოგიერთებმა, ვინც გაბედა, ვინც ვერ გაბედა მხოლოდ უღიმოდნენ და ხანდახან ზურგზე ხელს უთათუნებდნენ. მიხვდა ჯუმბერი, რომ მორჩა მისი კურიერობა. თუმცა ამგვარ სცენარს გამოცდილი მამონალოგი ჯერ კიდევ მანამდე ითვალისწინებდა, სანამ ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნებოდა. ეს ყველაფერი მამამ ასწავლა. ჯუმბერისაც ისეთი მამა ჰყავდა, როგორიც იმ კაცს, აი დათა თუთაშხიამ რომ ჩააგლო თავისი ურმიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი „ძვირფასი“ ცოდნა მას მხოლოდ მამისაგან არ მიუღია, არსებობდა ქვეყანაში სხვა ინსტიტუციებიც, რომლებიც მსგავს ცოდნას სახელმწიფოს მართვაშიც იყენებდნენ და ადამიანებთან ურთიერთობაშიც. ასე რომ მხოლოდ „მამების“ ანაბარა არ იყო ეს საქმე მიტოვებული. თუმცა უბედურება ის იყო, რომ ამგვარ საქმიანობას უკუღმართი შედეგები მოსდევდა. „ჩემნაირები ამ ქვეყანაში ბევრნი არიან, - ხმამაღლა ფიქრობდა ჯუმბერი, - მამაჩემისნაირებიც საკმაოდ. ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული. . . ზოგს ჩვენს გუნდში კემბრიჯი აქვს დამთავრებული, ზოგს კიდევ ლომონოსოვი. . . რა ხდება ნეტავ?! - ეკითხებოდა ყოფილი კურიერი თავის თავს და პასუხს ვერ პოულობდა. ორ



უმალესში მიღებული ცოდნა ვერ შველოდა პასუხის პოვნაში. პასუხის პოვნაში ვერც მოძღვრებისა და დამრიგებლების მთელი პლეადა ეხმარებოდა. გულწრფელად რომ ვთქვათ, ერთხელ „ცოდვილ“ ჯუმბერს მოეჩვენა, რომ ისინი პასუხის პოვნას კი არა, არამედ „დამნაშავეების“ იდენტიფიკაციას ცდილობდნენ.

ახლა მოდიტ ჯარას მივუბრუნდეთ. ის შორს არსად წასულა, იქვე ნაკვეთის ბოლოს, ცოტა მოშორებით კარგად შეინიღბა. ხუანსაც ფლოქვით ანიშნა: - „სუ, ხმა არ ამოიღო. როცა მოსაღამოვდა და ბინდი ჩამოწვა ხეების თავზე, ახმაურდნენ ღამის ბინადრები და ჭრიჭინობელებმაც შემოსძახეს სიმღერა, ჯარამ ზურგზე შეისვა ხუანი და ორივენი ჩუმად და ფრთხილად მიაღვნენ ნაცარქექიას სახლს. ნაცარქექიას სულ არ გაკვირვებია მათი მისვლა. შეუძღვა სახლში, ნუ სახლში ცხადია ხუანს შეუძღვა თორემ ჯარას გარეთ, მოლზე ერჩია ყოფნა. დარჩა კიდევ გარეთ მწვანე ბალახზე საბალახოდ. ხუანის ბედზე დევო ახალი ჩამოსული იყო ევროპიდან. რამდენიმე დღე დარჩა, მოაწესრიგა საქმეები და შემდეგ თავისი ხალიჩით წაიყვანა ხუანი საკუთარ ქვეყანაში. სთხოვა, გარკვეული ხანი ნუ გამოჩნდებიო ხალხში. ერთმანეთს დაემშვიდობნენ დევო და ხუანი, თუმცა მათ დამშვიდობებაზე უფრო შთამბეჭდავი გახლდათ ჯარასა და ხუანის, ასევე ნაცარქექიას და ხუანის დამშვიდობება. ყველაფერი დეტალურად რომ აღვწეროთ ერთი-ორი გვერდი გამოვა. ამიტომ არ გავაკეთებთ ამას, არ მოვყვებით იმ დეტალებისა და გულისამაჩუყებელი სცენების შესახებ, რაც მათ გამომშვიდობებას მოჰყვა. - მეწვიეო სტუმრად ნაცარქექიავ, - მიიპატიჟა ხუანმა მასპინძელი. - აუცილებლად, გამოვნახე დროს და გეწვევით, - მიუგო თვალცრემლიანმა ნაცარქექიამ. წიგნების კითხვის შემდეგ, ჩანს რომ მას სენტიმენტალიზმი მოსძალეებოდა.

დევო გვერდიდან უყურებდა ახალი მეგობრების დამშვიდობებას და მიუხედავად იმისა, რომ აგვიანებდა, მოთმინებით იდგა და არ ერეოდა პროცესში. ბოლოს აიყვანა ხუანი ხალიჩაზე, თავადაც შემოჰკრა ბეჭებზე ხელი ნაცარქექიას და უთხრა: - აბა კარგად მოეშადე, მომავალ წელს ევროპაში უნდა გააგრძელო სწავლა, თუმცა, ნუ გეშინია არ დაეიკარგებიო. დანადვლიანებულ ჯარასაც თვალი ჩაუკრა, გაუღიმა, ავიდა თავის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე. ჩვენ უნდა გაუიხსენოთ, ამ ტრანსპორტის მახასიათებლები. ეს იყო არცთუ ისე დიდი ზომის, არც თუ ისე საინტერესო ესთეტიური ფასეულობის მოქნე ხალიჩა. ყველაზე კარგი რამ, რაც ამ ხალიჩას ახასიათებდა, იყო ის, რომ მას ეტყოდო საით უნდა წასულიყო და ისიც წავიდოდა იქ. აი ასე მარტივად, სხვა არაფერი სჭირდებოდა. ადგილზე მისვლის შემდეგ ასევე მარტივად აახვევდი და ისიც კი შეგეძლო მისაღებ ოთახში იატაკზე გაგეშალა. ისინი თვალს მალე მიეფარნენ.

ნაცარქექია მიუტრიალდა ჯარას: - წავიდეთ ახლა, საქმეს შევუდგეთ. დღეს ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.



ჩემი

მეგობარი

მეგობარი

ი. პ.



ნახატი ლ. გ.



ტყეში, სადაც მაღალი ნაძვები და ფიჭვები იზრდებიან, ცხოვრობდნენ ძმები-დათუნიები - დრიკი და ადკა. ისინი ერთმანეთს ისე ჰგავდნენ, როგორც წყლის ორი წვეთი - ამიტომაც არავის შეეძლო მათი გარჩევა.



თუმცა... როცა დათუნიები გამოდიოდნენ სასეირნოდ და ჯიბეები კანფეტებით ჰქონდათ სავსე, დრიკი ყველას უნაწილებდა. ადკა კი, ჩუმად, სხვებს რომ არ დაენახათ, შეძვრებოდა ხოლმე ბუჩქებში და სულ თავად მიირთმევდა.



სხვებიც სწორედ ასე არჩევდნენ ძმებს: ის, ვინც უნაწილებდა, - იყო დრიკი; და ის, ვინც მაღაჟდა - იყო ადკა. დათუნიების მეგობრებმა მათ მეტსახელეებიც კი შეარქვეს და ერთმანეთში ასე ეძახდნენ ძმებს - უხვი და ძუნწი.



ადკას არ ესმოდა თავისი ძმის საქციელი: რატომ უნდა მისცე სხვებს ის, რაც თავადაც ძალიან მოგწონს, ანდა ის, რაც შეიძლება კიდევ გამოგადგეს? მას არც ის ესმოდა, რატომ შეარქვეს მას ძუნწი.



ის არ არის ძუნწი, მხოლოდ ეკონომიურია და თადარიგაინი. და საერთოდ, რატომ უნდა გაუყოს ვინმეს კანფეტები და სათამაშოები? ეს ხომ მისია, და ამიტომ არ არის ვალდებული ასე მოიქცეს.

იქნა თუ არა, რომ წვიმის მატყლევი მთელ სიოქხლეს მინაში ატარებენ და მინაშივე შრომობენ, როგორც მინისტვეშა მებაღეები, თხრიან რა ღრმა გვირაბებს და ამგვარად აფხვიერებენ მინას.



ხოლო თუ ვინმეს კანფეტები უნდა, წავიდეს მაღაზიაში და იყიდოს! „ადკა, წავიდეთ გვირილების მდელოზე და ველოსიპედებით ვიკატაოთ,“ - შესთავაზა ერთ დღესაც დრიკმა ძმას. „ველოსიპედებით?! კარგია, წავიდეთ!“ - გაუხარდა ადკას.



„ცოტა იჩქარე, თორემ იქ დაიდალნენ ჩვენი ლოდინით“, - დაამატა დრიკმა. „რაა... იქ სხვებიც იქნებიან?“ - იკითხა დაძაბულმა ადკამ. „რა თქმა უნდა! ციყვი, კურდღელი, მგელი, მელაკუნა და ...“



ჰო, ზღარბსაც უნდოდა მოსვლა, თუ გამოუშვებენ.“ - „ოჰო! დანარჩენებმა რიდათი უნდა იკატავონ, მათ ხომ არა აქვთ ველოსიპედები?“ - თქვა ადკამ.



„მელიას გუშინ უყიდეს ველოსიპედი! - უპასუხა ადელევებულმა დრიკმა, - ბოლოს და ბოლოს აუხდა ნატვრა. თუმცა სამწუხარო ის არის, რომ საჭვებე არ აქვს ზარი.“



„ღზინ-ღზინ!“ - დარეკავდა და ყველა გაიგებდა, რომ ველოსიპედი მოდის. ზარის გარეშე კი მელიას ხმამაღლა მოუწვევს ყვირილი: „მომერიდეთ! მომერიდეთ!“ - დრიკი ინსტრიმენტების ყუთებს ათვალეერებდა.



„მინდოდა მისთვის ზარი მეჩუქებინა, სადღაც ვნახე, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს. ჰო, გამახსენდა! შენი საწოლის ქვეშ,“ - წამოიძახა გახარებულმა დრიკმა და დააპირა ძმის საწოლის ქვეშ შემძვრალიყო.



მაგრამ ადკამ გზა გადაუღობა: „ეს ჩემი ზარია! ის მე ვიპოვე!“ - „ჰო, მაგრამ, შენ ხომ ველოსიპედზეც გიყენია ზარი. ეს რაღად გინდა?“ - გაუკვირდა დრიკს. „მინდა. ის რომ უცბად გატყდეს,“ - უპასუხა ადკამ.



„რომ არ გატყდეს?“ - შეეპასუხა დრიკი. „მერე რა, გამოდგება,“ - არ ტყდებოდა ეკონომიური დათუნია და იცავდა თავის ქონებას. „არ მომცემ?... სამწუხაროა, - გუნება წაუხდა დრიკს. - მე კი მინდოდა მელიას გახარება.“



იგი ცდილობდა ადკას სინდისი გაეღვიბებინა, მაგრამ ის სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. „მგელი და ციყვი რაღას იზამენ“ - იკითხა ადკამ. „რა უნდა ქნან“ - ვერ გაიგო დრიკმა.



„რა და, მათ ხომ არა აქვთ ველოსიპედები, როგორ იკატავებენ?“ - „ჩვენ ვათხოვებთ“, - დაუფიქრებლად უპასუხა გულუხვმა დათუნია. „ჰო, მაგრამ, რომ დამიმტვრიონ?“



არა, უკეთესია, მე თავად მოვნახო საკატაო ადგილი,“ - თქვა თვალეებმოჭუტულმა ადკამ. „მარტო ხომ მოგეწყინება,“ - უთხრა დრიკმა. „სამაგიეროდ ველოსიპედი დარჩება მთელი,“ - გაეპასუხა ძმა. „კარგი, როგორც გინდა, მე კი იქ წავალ, მეგობრებთან,“ - წამოიძახა გულუხვმა დრიკმა.



ის ვერ გადაარწმუნებდა ძმას. თუ ადკამ გადაწვევითა, რომ „ის თავად არის და ეს ნიუთი მისია,“ მორჩა, რაც გინდა შესთავაზე მას, თავის გადაწვევითილებას არ შეცვლის. ღრიკი შევჯდა თავის ველოსიპედზე და გასწია მეგობრებისკენ გვირილების ველზე.



ადკამ კი შესაფერისი ადგილის თვალიერება დაიწყო, სადაც ვერავინ დაინახავდა, ვერც იპოვიდა და სადაც ის „აბეზარი“ ცხოველების გარეშე იკატავებდა თავისი ველოსიპედით. ასეთი მინდორი დიდი ბორცვის იქით მდებარეობდა.



კი იყო სახლიდან მოშორებით და არც ველოსიპედით კატაობისთვის იყო მოსახერხებელი: ბევრი ორმოები და ქვები იყო იქ, - სამაგიეროდ, მას ვერავინ იპოვიდა.



იგი ბევრჯერ დამალვია იქ უცხო თვალს, როდესაც მიირთმევდა თავის კამფეტებს. და აი ახლაც დადგა იმ საიდუმლო ადგილის გამოყენების დრო. „ესეც გზაა: სულ ორმოები და ქვებია!



იქნებ სჯობდა ღრიკთან ერთად წავსულიყავით? - ფიქრობდა ის და ველოსიპედს მიაგორებდა. - ჰო, მაგრამ, ვიდაცამ რომ გამიტეხოს ჩემი ველოსიპედი? არა, სწორია, რომ არ წავედი გვირილების ველზე. ის ველი, რა თქმა უნდა კარგია, სწორი...



მაგრამ, არა უჭირს რა, სამაგიეროდ ველოსიპედის თხოვნას არავინ დამიწყებს: ციყვი იქნება, ზღარბი თუ მგელი... მე რა, ვალდებული ვარ მათ გაგუყო რამე? არა! ეს ჩემი ველოსიპედი! - თავს იმშვიდებდა ადკა, ცდილობდა რა თავისი საქციელის გამართლებას.



„აი როგორც იქნა გამოჩნდა დიდი ბორცვი, ჩემი მინდორიც იქვეა. ახლა დავისვენებ, გადავივლი ამ ბორცვს - და ვიკატავებ,“ - ანუგეშებდა თავს ადკა. რთული გზით დაღლილმა ადკამ გადაწვევითა დასვენება ციცაბო აღმართის წინ.



როგორ გადაივიდა ამ ბორცვს მან თავადაც არ იცოდა. ველოსიპედი მარწყვით საუსე კალათა ხომ არ არის, არც თაფლით საუსე კასრია, თუმცა არც კასრია მსუბუქი.



ახლა უკან ვეღარ დაიხვედა! იმისათვის, რომ დაეცვა თავისი ველოსიპედი, დათუნია ყველაფრისთვის იყო მზად. და სწორედ აქ დაიწყო ყველაფერი! ქოშინით, ბარბაცით და ბუზღუნით ადკა შეუდგა ციცაბო ბორცვის გზას.



ადკას სიქა გასძვრა თავისი ველოსიპედის ზიდვაში; ხან საჭეზე ველო ხელი და ისე მიათრედა, ხან უკანიდან აწეობდა, ხან ასე, ხან ისე, - ის კი მაინც უკან, ქვემოთ უბიძგებდა ადკას და ხდებოდა, რომ ისინი ერთად მიგორავდნენ დაბლა.



ამისდა მიუხედავად დათუნია არ ნებდებოდა, მან გადაწყვიტა რაღაც არ უნდა დაჯდომოდა დაეპყრო ბორცვი. და აი, ბოლოს და ბოლოს, მან, როგორც იქნა მოახერხა ეს, ააღწია ბორცვის წვერზე.



„უპ! რა მძიმეა ეს ველოსიპედი, უპ, ძალიან დავიღალე!“ - „და რისთვის, ამოათრე ის აქ?“ - მოულოდნელად ჰკითხა მას ვიღაცამ. „ასეა საჭირო, - მშვიდად უპასუხა ადკამ, შემდეგ კი შეშინებულმა წამოიძახა: - ვინ არის აქ?“



გამოდი, დამენახე, შენი არ მეშინია!“ და თითქოსდა თავს იცავსო, დაიწყო მუშტების ქნევა. „კარგი, კარგი, რატომ იქნევ მუშტებს? ეს ხომ მე ვარ, კარკა,“ - იჩქარა მისი დამშვიდება მოფრენილმა ყვავამ.



„კარკა?! აქ რას აკეთებ?“ - ჩამოუშვა მოკუმული მუშტები გაოცებულმა ადკამ. „თავად შენ რას აკეთებ აქ?“ - მინდა ვიცოდე. „პირველად მე გკითხე შენ რა ... მითვალავალ?“ - ივარაუდა დათუნია.



„არავინ არ გითვალავალეს. მე გვირღილების ველზე ვიყავი, ყველანი იქ არიან, შენი ძმაც, კატაობენ ველოსიპედებით. უცებ გავიგონეთ „ბახ!“, შემდეგ კი მთელ ტყეში გაისმა „ბუხ!“



და მეც გადაწყვიტე წამოვსულიყავი და მენახა რა ხდება. ამ თვალთვლებში შეგამჩნიე სწორედ, შენს ველოსიპედთან ერთად, რომ მიგორავდი ქვემოთ. ჩამოვჯექი ხის ტოტზე და გაკვირდები, მაინტერესებს რა მოხდება.“



„ველოსიპედით კატაობა მინდა, აქვე ბორცვის იქით, კარგი მინდორია, - გასცა თავისი საიდუმლო ადკამ. - ოი! არავის უთხრა, რომ გითხარი ამ საიდუმლო ადგილის შესახებ, ის ჩემია და სხვამ არავინ უნდა იცოდეს.“ - ჩურჩულთ წარმოთქვა ბოლოს დათუნია.



„რატომ, რისთვის გჭირდება საიდუმლო ადგილი?“ - დაინტერესდა ყვავი კარკა. „საჭიროა! - უპასუხა კოპებშეკრულმა ადკამ და დაამატა: - ახლა, გაფრინდი გვირღილების ველზე და არავის უთხრა ჩემს შესახებ. მორჩა ნუდარ მიშლი ხელს.“

დროის

იგავი

ტომარა

დ. ბ.

როდესაც ბავშვი დაიბადა ამქვეყნად, დროის მეუფემ მას დროის ტომარა აჩუქა. გარბოდა დღეები, გადიოდა წლები და — დრო ტომარაში ცოტავედებოდა. და აი, ბოლოს, ადამიანის დრო დასასრულს მიუახლოვდა. როცა სულ აღარ დარჩა დრო, ადამიანი ცარიელი ტომრით დაუბრუნდა დროის მეუფეს. მეუფემ ჰკითხა: „ადამიანო, სად წავიდა ის დრო, რომელიც შენ გაჩუქე? რა იქნა?“

ცის ფონზე აინთო დიდი ეკრანი, და მასზე გამოჩნდა წარწერა „შენი ცხოვრება.“ ადამიანმა ეკრანზე დაინახა მთელი თავისი ცხოვრება დაბადებიდან სიბერემდე — თითოეული წვრილმანი, გამრუდების გარეშე, როგორც იყო.


უყურებდა რა ეკრანს, დროის მეუფე ხან წარბებს ჭმუხნიდა, ხანაც ხელს ისვამდა თავის გრძელ თეთრ წვერზე, ხან ზურგზე ხელეშემოწყობილი დადიოდა წინ და უკან და ფიქრობდა. როცა ეკრანი ჩაქრა, მან შეხედა ადამიანს, რომელიც თავჩაქინდრული იდგა, და თქვა: „მე ამდენი დრო გაჩუქე შენ, შენ კი იგი ფუჭად დახარჯე. მთელი ცხოვრება

საკუთარ თავზე ფიქრს მოახმარე. რატომ მოიქეცი ასე, რატომ არ იფიქრე სხვებზეც?“

კიდევ ერთი ადამიანი მოვიდა ცარიელი ტომრით ხელში. მეუფემ მასაც ჰკითხა: „შენი დრო სადღაა, ადამიანო? რატომ არის შენი ტომარა ცარიელი? ახლავე ვნახავ.“

კვლავ აინთო ცაზე დიდი ეკრანი და გამოჩნდა სიტყვები „შენი ცხოვრება,“ და დროის მეუფე ყურადღებით აკვირდებოდა ადამიანის ცხოვრებას დაბადებიდან სიბერემდე. ეკრანი აჩვენებდა სრულ სიმართლეს, არაფერს მაღავდა. მეუფე ხან იღიმებოდა, ხანაც მისგან ბგერები ისმოდა: „ჰოო... ჰოოო... როცა ეკრანი ჩაქრა, მიუბრუნდა ადამიანს და ჰკითხა: „მე შენ დროის მთელი ტომარა გაჩუქე, შენ კი ეს დრო ნაცნობებს დაურიგე, შენთვის არაფერი დაიტოვე. მთელი ცხოვრება მხოლოდ სხვებს მოახმარე. რატომ არ დაიტოვე დრო შენთვის?“

დაინახა რა, რომ ორივე ადამიანი თავჩაქინდრული იდგა, მეუფემ თავისი მანტიის ჯიბიდან ორი. მცირე ზომის, სავსე ტომარა კიდევ ამოიღო და თქვა: „კიდევ გჩუქნით



ნახატი მ. გ.

თქვენ დროის ტომარას. დაბრუნდით უკან და გამოიყენეთ ის სწორად — დრო სხვებსაც დაუთმეთ, მაგრამ არ დაგვიწყდეთ საკუთარი სული.“

ეს ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი რჩევაა. თუ ასე ვიცხოვრებთ, ყოველთვის მოვუტანთ

აღამიანებს სიხარულს და თავადაც კმაყოფილები ვიქნებით. და ღმერთიც კმაყოფილი იქნება ჩვენით.





ლაბირინთი



ბებიამ შეიღიშვილებს სთხოვა, რომლებიც მასთან სტუმრად მივიდნენ, ეკლესიაში ხილი წაეღოთ, მომავალი სამკლის დღესასწაულისთვის; რომელი გზით უნდა წავიდნენ გოგონები, რომ მივიდნენ ეკლესიაში?



ნახატი ტ. კ.

ასოკები

შეადგინა ე. ც.

პორიზონტალურად:


- ვინ დაამარცხა გოლიათი? (1 მეფ. 17:22-23...).
- „მოლით ჩემთან ყოველნო მამურალნო და
. . . და მე მოგასვენებთ თქვენ“ (მათ. 11:28).
- პირველი ადამიანის სახელი დედამიწაზე (1კორ. 15:45).
- რა ერქვა იმ კაცს რომლის ვირმაც დაიწყო ლაპარაკი? (რიცხ. 22:28).
- ქალაქი, სადაც გაიზარდა იესო? (ლუკ. 2:21-24; 39-40).
- იმ წინასწარმეტყველის სახელი რომელსაც ღმერთმა გრაგნილის შეჭმა უბრძანა (ეზეკ. 3-1).
- წინასწარმეტყველი, რომლის სახელიც ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნს ჰქვია?.
- ვინ გადაურჩა წარღვნას? (დაბ. 7:1-23).

ვერტიკალურად:

- რა ერქვა იმ კაცს, რომლის ცოლმაც 90 წლის ასაკში შვა ძე? (დაბ. 17:15-17; 21:5).
- მეფე იესოს დაბადების დროს (მათ. 2:1).
- იმ კაცის სახელი ვინც ღამით მივიდა იესოსთან (იოან. 3:1-2).
- ნეტარ არიან ვინაიდან ისინი დაიმკვირდებენ დედამიწას (მათ. 5:5).
- იმ კაცის სახელი, რომელიც ძმამ მოკლა შურის გამო (დაბ. 4:1-8).
- საულის ძე, დავითის მეგობარი (1 მეფ. 19:1).

ახსოვსხე

ნახატი ტ. კ.



წითელი თუ მწვანე

გზების გასწვრივ, დაღმართები იქნება თუ აღმართები, გზაჯვარედინები თუ გადასასვლელები, ყველგან დგას საგზაო ნიშნები. ხანდახან მძღოლებს ეს აღიზიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნიშანი ზღუდავს სიჩქარეს ანდა გასწვრებას. თუმცა ეს ნიშნები მძღოლების საწინააღმდეგოდ კი არა, არამედ მათთვის არის! ისინი იმიტომ დგას, რომ მოაწესრიგოს მოძრაობა და დაიცვას ადამიანები საგზაო შემთხვევებისგან, რომელთაც შესაძლოა ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს. საგზაო ნიშნების უგულვებელყოფა სახიფათოა სიცოცხლისათვის.

არის ისეთი ნიშნები, რომლებიც აფრთხილებენ ფეხით მოსიარულეებს სასიკვდილო საფრთხის შესახებ. მაგალითად, შუქნიშნის წითელი ფერი და დაშვებული "შლაგბაუმი" სარკინიგზო გადასასვლელზე. ერთხელ იესოს ჰკითხეს, რომელი მცნებაა ყველაზე დიდი. მან უპასუხა, რომ ყველაზე დიდი მცნება ადამიანის ცხოვრებაში არის — უყვარდეს უფალი ღმერთი მთელი თავისი გულით და უყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. ეს ისევე საჭიროა, როგორც შუქნიშნის ანთებული წითელ ფერზე შეჩერება.

ადამიანები კი როგორ არღვევენ ამ, ყველასათვის მთავარ, მცნებას? ძალზე უბრალოდ: მათ უყვართ არა ღმერთი და სხვა ადამიანები, არამედ საკუთარი თავი. ანუ საკუთარი თავი ყველაზე მეტად უყვართ. მათი აზრით, ყველაფერი მათ ირგვლივ უნდა ბრუნავდეს და თუ ეს ასე არ ხდება, ბრახდებიან, შურთ, მტრობენ, კამათობენ. აი ეს არის სინამდვილე: თუ ადამიანს არ უყვარს ღმერთი და ადამიანები, არამედ საკუთარი თავი უყვარს, მას ბევრი მტრები ჰყავს. მისი ყველაზე მთავარი მტერი — თავადვეა. იგი თავად ართმევს საკუთარ თავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სიხარულს. იმ სიხარულს, რაც მოაქვს სხვების დახმარებას, მათ თანადგომას, იმ განცდას, რომ ვიღაცას სჭირდება, ვიღაცას შენი იმედი აქვს. ასეთ ადამიანებს ეგოისტებს უწოდებენ.

ლათინური სიტყვა „ეგო“ ქართულად — საკუთარ მეს აღნიშნავს. სწორედ ეს მე-ა ჩვენი ყველაზე სასტიკი მტერი. ჩვენი „მე“ გვაიძულებს მოვიტყუოთ, რათა სხვების თვალში კარგი გამოვჩნდეთ. ჩვენი „მე“ გვაიძულებს სხვებზე ცუდი ვილაპარაკოთ, რათა ჩვენი თავი უფრო ძლიერად, ჭკვიანად და მნიშვნელოვნად ვიგრძნოთ. ჩვენს „მეს“ სურს იყოს სხვებზე უკეთესი, ლამაზი, მდიდარი. . . და თუ ეს ასე არ არის, ჩვენი „მე“ დამნაშავეებს ეძებს. ეგოიზმი, თავკერძობა — ისევე სახიფათოა, როგორც ქუჩის გადაჭრა წითელ შუქზე ანდა სარკინიგზო მაგისტრალის გადაკვეთა დაშვებული "შლაგბაუმის" დროს. ეს სასიკვდილოდ სახიფათოა!

ტყუილად არ გვაფრთხილებს ღმერთი ამ საფრთხის შესახებ და გვასწავლის გვიყვარდეს იგი, გვიყვარდეს სხვა ადამიანები, ვემსახუროთ მას და ადამიანებს. არაფერია ამ ქვეყანაზე ისეთი, რამაც შეიძლება მოიტანოს იმაზე დიდი სიხარული, რაც სხვებისათვის სიკეთის გაკეთებაა, სხვების მიმართ ყურადღების გამოვლინებაა, ადამიანებზე ზრუნვა და მათი დახმარებაა. ვინც ასე იქცევა შეიძლება ითქვას, რომ ისინი მწვანე შუქზე მოძრაობენ. ისინი პატივს სცემენ ადამიანებს, ეხმარებიან მოყვასს, ემსახურებიან ღმერთს და ახარებენ ანგელოზებს.

ღსწავლა მზებზე

რატომ არის, რომ არ ვუსმენთ ერთმანეთს
წმირად და არ შეგვიძლია გავიგოთ სხვა
ადამიანის ტკივილი და გასაჭირი? რატომ
არის, რომ მოყვასის ხმა, თითქოსდა შორიდან
ისმის? რატომ არის, რომ არ გვინდა თავს
ძალა დავატანოთ?

ყოველივე იმიტომ, რომ მხოლოდ თავს
ვუყურებთ და მხოლოდ საკუთარი თავი
გვიყვარს, იმიტომ რომ ეგოიზმი წინ
მიგვიძღვის, და გულები სიკეთისათვის
გაციებული გვაქვს.

ურთიერთგაგება ადამიანებს შორის თანხმობის
დასაწყისია. ურთიერთგაგება ის ძაფია, რაც
ჩვენს გულებს აერთიანებს. ურთიერთგაგება
ნაბიჯებისა და აზრების ერთობაა.

ურთიერთგაგება სიცივეს სდევნის ჩვენი
სულიდან.

გესმოდეს — ნიშნავს, სხვების გაფრთხილებას,
დედამიწაზე ჩვენ ერთად შემთხვევით არ
ვცხზოვრობთ.

გესმოდეს — ნიშნავს მოყვასის საჭიროებებით
ცხოვრებას და ადამიანის სილამაზის
დაფასებას.

ნახატი ი. პ.



ერი თუ არა,
რომ განმასხვავებელი ნიშანი
ვირზაზუნასი, წერილი
ძუქუნოვრებისა მანგუსტების
ოჯახიდან. — მათი ერთობაა? ისინი
ოჯახებზე რხოვრობენ 4(1)-მდე ერთეული,
და ოჯახის ინტერესების დაჯვა მათთვის
უპირველესი საზოუნავია.
საფრთხის შემოსევებაში
ფეფები მზად არიან
გასხირონ თავი, რათა
გადაარჩინონ
თავიანთი შვილები.



მეიჭიქის ოჯახი

მუშაკები „მარტას ვენახში“

ატლანტიის ოკეანეში არის საოცარი კუნძული — მარტას-ვაინიარდი. ინგლისურიდან ეს სახელი ითარგმნება, როგორც „მარტას ვენახი“ და მართლაც ეს სახელი ამ ადგილს დაერქვა იმ ბრიტანელი მეზღვაურის ქალიშვილის საპატივსაცემოდ, ვინც პირველმა ევროპელებიდან დოკუმენტალური მონაცემები დაგვიტოვა ამ ადგილის შესახებ.

კუნძული მდებარეობს მასაჩუსეტსის შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დღესაც კი იქ ჩასვლა მხოლოდ თვითმფრინავით ან ბორნით არის შესაძლებელი. ატლანტიკის წყნარმა წყლებმა, ქვიშიანმა სანაპიროებმა და საოცარმა ბუნებამ ეს



ადგილი ახალი ინგლისის მცხოვრებლების საყვარელ ადგილად აქცია.

ახალი ინგლისი — აშშ-ს რეგონია, რომელიც რამდენიმე შტატს აერთიანებს. 1620 წელს აქ გამოჩნდნენ პირველი მოსახლეები ბრიტანეთიდან.



ხუჩესი ჯონათან მეიჭიქი.
პორტრეტი 1750 წ.

სწორედ მათ უწოდეს ამ ადგილს ახალი ინგლისი. დღეს კუნძულზე ბევრი სასტუმრო და მაღაზიაა და აქ დასასვენებლად ამერიკის პრეზიდენტებიც კი ჩამოდიან.

მეიჭუს ოჯახის მსახურების დასაწყისი

500 წლის წინ კუნძულზე ინდიელები ცხოვრობდნენ. როდესაც მათ ტერიტორიაზე შეიჭრნენ დამპყრობლები, დაიწყო დაპირისპირება და ადგილობრივი მოსახლეობის მრავალწლიანი ბრძოლა ევროპელ მოსახლეებთან.

აი ასეთ რთულ პირობებში მოუწია 1630-იან წლებში თავისი შრომის დაწყება მეიჭიქების ოჯახს.



მეიჭიქების ოჯახის სახლი, რომელიც ისინი უჩოვრობდნენ 1676-1699 წლებში.

ოჯახის თავი, თომას მეიპიუ-უფროსი, გახდა მარტას ვაინიარდის გუბერნატორი. მისი ვაჟი, ტომას მეიპიუ-უმცროსი, იყო მღვდელი.

თომას-უმცროსის სამისიონერო მოღვაწეობა

ახალგაზრდა მსახური (მაშინ ის მხოლოდ 20 წლის იყო) ღმერთის სიტყვას უქადაგებდა თეთრ მოსახლეებსაც და ადგილობრივ ინდიელებსაც. დიდხანს და მოთმინებით ქადაგებდა ის სახარებას ინდიელებში. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა პირველი მორწმუნე გამპანოაგი — ჰაიმაკუმსი.

ჰაიმაკუმსი გახდა ტომასის მეგობარი, მთარგმნელი და ერთგული თანაშემწე მის მისიონერულ მოგზაურობებში მარტას-ვაინიარდის კუნძულზე. მათ მრავალი მილი გაიარეს ერთად, მოინახულეს შორეული ადგილები, სადაც ისინი ქადაგებდნენ სახარებას. მათი შრომა წარმატებული აღმოჩნდა: ათი წელიც არ იყო გასული და იმ ინდიელების რიცხვმა, ვინც ქრისტე ირწმუნა, სამასს მიაღწია. თომას მეიპი უმ მათთვის ააშენა სკოლა, ზრუნავდა მათზე და მათი პრობლემების მოგვარებაზე.

თომას-უმცროსმა გადაწყვიტა, რომ ამ გამოღვიძების შესახებ ინდიელთა შორის უნდა სცოდნოდათ მის ისტორიულ სამშობლოში, ინგლისში. და მიუხედავად ახლობლების შეგონებებისა არ წასულიყო ამერიკიდან, იგი 1657 წელს დაადგა შორეულ გზას. ეს მოგზაურობა ტრაგიკულად დასრულდა — თომას უმცროსი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ოკეანეში.

თომას-უფროსის მსახურება

როცა ეს უბედურება მოხდა, გუბერნატორი უკვე 70 წლის იყო. მაგრამ მან გადაწყვიტა გაეგრძელებინა თავისი შვილის საქმე. ინდიელები, რომლებსაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ მის შვილს, ასევე მოეპყრნენ მამამისსაც. ის მათთვის სულიერი მოძღვარი გახდა. თომას-უფროსის სიცოცხლე ხანგრძლივი და კურთხეული იყო. ის 92 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისი მსახურება 22 წელს გაგრძელდა.



თომას მეიპიუ-უმცროსი ქადაგებს გამპანოაგის ინდიელებთან

წინაპრების კვალზე

მეიპიუების ოჯახის შემდგომმა თაობებმაც თავისი ცხოვრება ღმერთსა და ინდიელებს მიუძღვნეს: ჯონათანი, თომას-უმცროსის ვაჟი, და მისი შვილები ამ საქმეს 30 წლის მანძილზე ემსახურებოდნენ.

მარტას-ვაინიარდში საოცარი ნაძვები იზრდება. ადგილობრივები მათ „მტირალა“ ნაძვებს ეძახიან. თუ ზაფხულის ცხელ დღეს გახვალ ტყეში, შეიძლება დაინახო, როგორ ცვივა მათი წიწვებიდან სუფთა, ანკარა წყლის წვეთები. და მოგზაურს შეუძლია შუბლი გაიგრილოს ამ საოცარი „წვიმით.“ ასეთი საოცარი რამ სხვაგან არსად არის ცნობილი.

სწორედ ასეთ გამაცოცხლებელ წვიმად მოევიდნა

მეიპიუების ქრისტიანული ოჯახის მსახურება კუნძულზე მცხოვრებ ინდიელებსაც და ევროპელებსაც, რომლებიც მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ და ერთმანეთს კლავდნენ.

ნ. ო.



სასწაულებრივი-კენკრა გოგრა — ერთწლიანი მცენარეა, რომელიც განეკუთვნება საბოსტნე კულტურებს. გოგრის ახლო ნათესალები არიან — ყაბაყი, კიტრი, პატისონი. საზამთროც, ნესფთან ერთად შეიძლება ამ სიაში ჩავწეროთ. გოგრა ჰქვია ამ მცენარის მსხვილ ხორცოვან ნაყოფს, რომელსაც ბურთისებრი ან ოვალური ფორმა აქვს. ის გამოირჩევა სქელი კანით, რომლის შიგნითაც ხორციანი რბილობი და ბევრი თესლია. კანისა და რბილობის ფერი, ასევე წონა და ფორმა ნაყოფისა დამოკიდებულია ჯიშზე.

გოგრა



როდესაც უყურებ ოქროსფერ გოგრას, გიჩნდება შეგრძნება, რომ მან შეიწოვა მზის მთელი ძალა და ენერჯია და მზად არის ეს ენერჯია გადმოგცეთ თქვენ. თუმცა გოგრები არა მხოლოდ ნარინჯისფერი, არამედ ლურჯებიც არის, მწვანეებიც და თეთრებიც. ნარინჯისფერ ჯიშებში ბეტა-კაროტინი რამდენჯერმე მეტია ვიდრე სტაფილოში. გოგრა ჩემპიონია ბოსტნეულთა შორის რკინის, სპილენძის და ფტორის შემცველობით. კალიუმის

მაღალი შემცველობის გამო, გოგრა აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამაგრებს სისხლ-ძარღვებს და აშორებს მათ ნაღებს.

საკმელოდ იყენებენ მწიფე გოგრას, როგორც ნედლად, ასევე მონარშული და შემწვარი სახით. მისგან ამზადებენ პიურეს, ხიზილალას, ხილფაფას, წვენებს. გოგრა ძალიან კარგად მიდის კარტოფილთან და პომიდორთან.

XVII საუკუნეში შარლო პერომ თავის ზღაპარში „კონკია“ მოიფიქრა, რომ კარეჭა დაემზადებინა გოგრისგან — ანუ იმ პროდუქტისგან, რომელიც ყოველთვის არის ყველაზე ღარიბი ადამიანის ოჯახშიერ კი.

ნახატი მ. ხ.





გოგრა – მრავალი რეკორდის გმირია. მაგალითად აშშ-ში გამოაჩვენეს ყველაზე დიდი ნამცხვარი გოგრისგან, რომლის დიამეტრიც 152 სმ-ს აღწევდა. ამ ნამცხვრის მოსამზადებლად გამოყენებული იქნა 3 კგ. გოგრა, 1,5 კგ. შაქრის ფხვნილი და 144 კვერჩხი. ნამცხვრის გამოეზონას 6 საათი დასჭირდა.




ატტეკების მიერ დამზადებული ქვის გოგრა

გოგრის ისტორიიდან
გოგრის სამშობლოდ ითვლება ცენტრალური ამერკა. არქეოლოგიური გათხრები მოწმობს, რომ მექსიკის მცხოვრებლებს გოგრა უკვე 5000 წელია, რაც მოჰყავთ. გოგრის თესლები ასევე ნაპოვნი იქნა პერუელი ინდიელების სამარხებში. გოგრის სასარგებლო თვისებების შესახებ ძველთაგანვე იცოდნენ, ის ყოველთვის სამკურნალოდ ითვლებოდა. ინდიელები, გოგრას აჭრიდნენ თავს, იღებდნენ თესლებს, და შემდეგ რძით, სანელებლებითა და თაფლით ავსებდნენ მას. ჩადებდნენ გოგრას ცხელ ნაცარში, ანდა წვავდნენ მას კოცონზე. დამკვანარი გოგრის ზოლებიდან კი ამზადებდნენ ხალიჩებს.

ინდოეთში გოგრას ძალიან აფასებენ ვიტამინი E-ს ძალიან შეუმჯობესების გამო, მიაჩნიათ, რომ იგი ანელებს დაბერების პროცესს. შოთლისმაგვარ გოგრას კი იყენებენ ხმის გასაუმჯობესებლად, მუსკალური ინსტრუმენტის სიკარის დამზადების დროს.

პოლანდიაში ყოველ წელს, ოქტომბრის ბოლოს ტარდება „პომპუნ – ალლუმენი“ – გოგრების მხიარული სვლა. მოყვანილი გოგრების შეპატრონეებს ფორნებითა და ურმებით მოაქვთ ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, ზოლებიანი და წინწკლებიანი გოგრები. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ თქვენთვის სასურველი ჭიმის გოგრის თესლი და გასინჯოთ გოგრისგან მომზადებული მრავალფეროვანი საჭმელები.



კალებასი



ავსტრიელები ისე ამუშავედნენ გოგრას, რომ მისგან მხოლოდ ნაფურჩაღილია რჩება, ყოველივე დანარჩენი მიდის კოსმეტიკის, ნამლოების და ძალიან შავი, თუძერძა ძალიან სამკურნალო ზეთის დასამზადებლად. ეს ზეთი სასარგებლოა ღვიძლისთვის, ორგანიზმიდან გამოჰყავს ქოლესტერინი. დარჩენილი კოპკონისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის გემრიელოვნებს, ვთქვათ ზისკვიტებსა და ნამცხვრებს, რომელთა დანახვაზე ვერც კი იფიქრებ, რომ ისინი გოგრისგან არის მომზადებული.



ინდიელები ძველთაგანვე გოგრებს არა მხოლოდ საკვებად იყენებდნენ, არამედ მისგან სხვადასხვა სახის ჭურჭელსაც ამზადებდნენ (გამომშრალი გოგრებისგან). სპეციალური ჯიშის მცირე ზომის გოგრისგან დღემდე აკეთებენ ტრადიციულ ინდიელურ ჭურჭელს იმ სასმელის მოსახარშად, რომელიც ჩაის მოგვაგონებს.

ევროპაში გოგრა, სხვა სასარგებლო მცენარეებთან ერთად შემოიტანეს ესპანელებმა XVI საუკუნეში. დღეს გოგრა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოჰყავთ. ცნობილია გოგრის დაახლოებით 20 სახეობა, რომელთა შორისაც არის საკვებად ვარგისი, ასევე დეკორატიული სახეობები.

ტენტრალოურ აზიაში გოგრისგან ამზადებენ ჭურჭელის სასმელებისთვის და ვალიებს პატარა მგალობელი ფრინველებისთვის.

17. მარტინ ლუთერი და რეფორმაცია



ვარტმურგის რიხე-კოშკი, გერმანია

მასსოვს, როცა ჩემი ვაჟი ჯერ კიდევ პატარა იყო, სათამაშო ციხე-კოშკს ვაგებდით. ჩვენ პლასტმასის დეტალებით სავსე ყუთი გვქონდა. ამ დეტალებით ბიჭი აგებდა კედლებს, მე კი — კოშკებსა და კარიბჭეებს. თუმცა რაც უფრო მადლდებოდა კედლები, მით უფრო უშნოდებოდა ჩვენი სასახლე. ის სულაც არ ჰგავდა იმ ნახატს ყუთზე, რომელშიც ეყარა კუბიკები და გამოსახული იყო ნიმუში. როგორც ჩანს, რაღაც ისე ვერ გაგაკეთეთ და უკვე აღარ შეგვეძლო გამოსწორება. ზოგიერთი დეტალი არ გვეკმაროდა, სხვები კი ზედმეტი იყო. მაშინ პატარამ წამოიძახა: „მამა, მოდი დავანგრიოთ და ახლიდან დავიწყეთ შენება.“ დავთანხმდი და დავიწყეთ ახლიდან შენება, დიდი ყურადღებით მივდევდით ინსტრუქციას.

რაღაც ამისი მსგავსი მოხდა ქრისტიანობაშიც. მრავალი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ადამიანები იყვნენ დაკავებულნი ეკლესიის შენებით და თითოეული ისე აშენებდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა, ეყრდნობოდა თავის გონებას და არ იხედებოდა ინსტრუქციაში, რომელიც ჩვენ ამ ნაგებობის პატრონმა — ქრისტემ — დაგვიტოვა. ინსტრუქცია გახლდათ ბიბლია, მშენებლები კი — ეკლესიის მსახურები, რომლებიც ხანდახან ყურადღებით უსმენდნენ ღმერთის ნებას, ხანდახან კი კამათობდნენ ერთმანეთში, ივიწყებდნენ ძირითად საქმეს და აგებდნენ საკუთარ სახლებს. შედეგად, ათასხუთასი წლის გასვლის შემდეგ ქრისტეს ამაღლებიდან, ეკლესია ევროპაში საერთოდ აღარ ჰგავდა იმ მშვენიერ ნაგებობას, რომელიც ჩაიფიქრა შემოქმედმა.

კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთმა წინამძღოლმა XV საუკუნეში თავის ქადაგებაში თქვა: „განაყოფილა ეკლესიის ისტორიამ



ბერი მარტინ ლუთერი. მხ. ლ. კრანახი 1520 წ.

ჩვენი ცხოვრება უფრო დაცემული, პრეტენზიები უფრო უზომო, სიხარბე ყოვლისმომცველი, აშკარა ცოდვები კი დაუთვლელი?“ გულწრფელ ადამიანებს აღარ შეეძლოთ გულგრილად ეცქირათ ამ გადახრებისათვის ეკლესიის ცხოვრებაში და გადაწყვიტეს რეფორმების განხორციელება.

მარტინ ლუთერმა, სწავლულმა, ავგუსტინელთა ორდენის ბერმა ვიტენბერგში (გერმანია), 1517 წ. 31 ოქტომბერს საჯაროდ გამოთქვა პროტესტი ინდულგენციების — ცოდვების მიტვეების მოწმობების — გაყიდვის წინააღმდეგ. კითხულობდა რა წერილს და აკვირდებოდა რა თავისი დროის ქრისტიანობას, ის მიხვდა, რომ საჭირო იყო საწყისებთან დაბრუნება, საჭირო იყო ადამიანების გადმოცემების უკუგდება და ეკლესიის მშენებლობის დაწყება ღმერთის გემის მიხედვით.

ლუთერის საეკლესიო ხელისუფლება აღშფოთდა: „როგორ ბედავ ეპისკოპოსებისა და რომის პაპის წინააღმდეგ წასვლას?“ 1521 წ. მას უბრძანეს გამოცხადებულიყო კრებაზე (უმაღლესი ჩინის სასულიეროთა კრება) ვორმსში, სადაც მოსთხოვეს უარი ეთქვა რეფორმატორულ შეხედულებებზე,

მარტინ ლუთერი
კრემზზე.

რელიეფი მ.
ლუთერის ძეგლი.
ვორმსი, გერმანია



მაგრამ გაბედულმა ბერმა იმპერატორის თანდასწრებით თქვა: „თუ თქვენ არ შეეძლიათ დამიმტკიცოთ წერილიდან, რომ ვცდები, — ვერ ვიტყვი უარს. აქ ვდგე და სხვანაირად არ ძალმიძს!“

სსნაზე რწმენის მეშვეობით, ღვთისმსახურება გაამართლეთ და გასაგები გახდა. გააუქმა ბერობა და რთული საეკლესიო რიტუალები.

ცხადია, ყოველი რეფორმაცია ნგრევასთან, ტკივილთან და გაუგებრობასთან არის დაკავშირებული. მრავალი იყო აღშფოთებული იმით, რომ ინგრეოდა ძველი წესები და შეხედულებები. დაიწყო რელიგიური ომები, რომლებიც XVI ს. ნახევრიდან XVII ს. ნახევრამდე გაგრძელდა. მილიონობით ადამიანი მოკვდა ამ სამინელ ომებში. ასეულობით ქალაქი გაპარტახდა, თუმცა რეფორმაციამ დაიცვა თავისი უფლება ეღიარებინა ქრისტე წერილის შესაბამისად.

მარტინ ლუთერმა აანთო რეფორმაციის ჩირაღდანი და მამაცურად იბრძოდა მის დასაცავად. ჟან კალვინმა, ულრიხ ცვინგლიმ და რეფორმაციის სხვა ლიდერებმა მისი სწავლება მთელს მსოფლიოში გაიტანეს, აჩვენეს ქრისტეს მადლის ძალა და საკუთარი რწმენის ღვთის სიტყვის შუქზე მუდმივი შემოწმების საჭიროება, ვინაიდან მხოლოდ წერილია ჭეშმარიტების უპირობო კრიტერიუმი.



ლუთერი თარგმნის ზიმლიას ვარტბურგის კოშკში

ლუთერი განკვეთეს ეკლესიიდან. თუმცა, ერთმა გერმანელმა მთავარმა, რომელიც საიდუმლოდ თანაუგრძნობდა ლუთერს, რომელსაც სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, მოიტაცა ის და დიდხანს მალაუდა ვარტბურგის ციხე-კოშკში. იქ ლუთერმა ბიბლია თარგმნა უბრალო ხალხისათვის გასაგებ გერმანულ ენაზე.

ხალხმა დაიწყო წერილის კითხვა და მიხვდა, რომ ეკლესიას მართლაც რაღაც სჭირს და საჭიროა რეფორმები. მარტინ ლუთერი იქცა ეროვნულ გმირად და შეუდგა რეფორმებს საეკლესიო ცხოვრებაში. ასე დაიწყო ახალი მოძრაობა ქრისტიანობაში.

ევროპის სხვა ხალხებმაც დაიწყეს საეკლესიო ცხოვრების რეორგანიზება. ისინი ცდილობდნენ ბიბლიასთან შესაბამისობაში მოყვანათ ეს ცხოვრება. ლუთერმა თავად აჩვენა რეფორმების მაგალითი. იგი გასაგებ ენაზე ქადაგებდა, ესაუბრებოდა ადამიანებს



ულრიხ ცვინგლი



ჟან კალვინი

კუნძი ადკა

დაასრულე ადკას
სახე და გააფერაე
ნახატი.



ადკას საბანძური

იპოვე ოთახში
ადკას მიერ
დამალული
ტკბილეულობა



ლაბირინთი

იპოვე გზა,
რომელიც ადკას
ბორცვთან
მიიყვანს:



ნახატი
წ. გ.

ვინ ვარ მე?

ქ. ც.

მე მივეკუთვნები იმ გადამფრენ ფრინველებს, რომელთა ხმებიც მაღლა ცაში გაზაფხულობითა და შემოდგომით ისმის. ჩვენი საყვირის მსგავს ხმებს ძნელად თუ აურევ სხვა ხმებთან. ჩვენ ვცხოვრობთ ევრაზიაში, გვიყვარს ჭაობები, მდინარეებისა და ტბების ნაპირები. თუმცა ჩვენი დანახვა არც ისე ადვილია, ვინაიდან ფრთხილები ვართ და ადამიანებს ახლოს არ ვუშვებთ. ვზამთრობთ აფრიკაში, ხმელთაშუაზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ირანში, ერაყში და ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში. მიეფრინავთ იქ დღისით გუნდებად დაწყობილნი. გაზაფხულობით კი ვბრუნდებით მშობლიურ მხარეებში.

ჩვენი ბუდე, ისლისა და ლერწმის ღეროების მყარად დატკეპნილი გროვია, რომელსაც ბუმბულებიც ურევია. ორი კვერცხისგან, რომლებსაც რამდენიმე დღიანი ინტერვალით დებს დედალი და რომლებზედაც ორივე მშობელი ზის, რიგ-რიგობით, 28-30 დღის შემდეგ იჩეკებიან ბარტყები. რამდენიმე საათის შემდეგ, გაშრებიან თუ არა,

ტოვებენ ბუდეს და აღარასოდეს ბრუნდებიან იქ: პირველი მამასთან ერთად იწყებს თავის გზას მიწაზე, მეორე კი რამდენიმე დღის შემდეგ, დელასთან ერთად მოდის მასთან. ორი თვის შემდეგ ისინი ფრენას იწყებენ, თუმცა ოჯახი ერთად შემდეგ გაზაფხულამდე რჩება. წვეილები კი მთელი სიცოცხლე ერთად არიან.

ვიკვებებით ქორფა ბალახით, მარცვლეულეების ამონაყარით, მცენარეებისა და კენკროვნების თესვებით. ცხოველებიდან ვჭამთ მოლუსკებს, ბაყაყებს, გველებს და წვრილ მღრღნელებს, ასევე მწერებს. „რა ჩიტი უმკლავდება ასეთ ცხოველებს?“ — იკითხავთ თქვენ.

კანონიერი კითხვაა, მაგრამ მე მართლაც დიდი ჩიტი ვარ, დაახლოებით 125 სმ სიმაღლის, წონით კი 4 - 5,5 კგ. ჩემი ინდოელი თანამოძმის სიმაღლე 176 სმ-საც კი აღწევს, წონა კი 7 კგ-ს. ფრთებს 2 მეტრზე და მეტზე ვშლით. უჩვეულოდ გრძელი ფეხები, მე ყველაზე მაღალ მფრინავ ჩიტად მაქცევს დედამიწაზე, თუმცა ამავე მიწაზეც კარგად დავრბივარ. საერთოდ ნაცრისფერი ვარ, ფრთების ბოლოები მაქვს შავი. „აღვირი“, შუბლი და თხემის წინა ნაწილი უბუმბულოა და შავი ფერისაა. თხემის უკანა ნაწილზე და კეფაზე - წითელი ფერის შიშველი ლაქაა. თვალებიდან თავის გვერდებისკენ და კისრის ზემოთა ნაწილისკენ მიედინება თეთრი ზოლი, რომელიც თანდათან გადადის ნაცრისფერში. ფეხები შავი, ოთხთათიანი, გარე და შუა თითები შეერთებულია აპკით. ნისკარტი გრძელია, მომწვანო და წაბლისფერი.

მე, და ჩემს თანამოძმეთ სხვა ფრინველებისგან განვასხვავებს უნარი მივიღოთ სხვადასხვა პოზა: შეგვიძლია ხტუნვა, სირბილი, ფრთების გაშლა და რვერანსის გაკეთება, მიწიდან ვიღებთ წვრილ რტოებს და ვისვრით ჰაერში. ამ მოძრაობებით გამოვხატავთ შფოთს, აღელვებას ანდა კმაყოფილებას. რადგან ვცოტავდებით, ჩვენ განსაკუთრებული დაცვა გვჭირდება. ალბათ უკვე მიხვდით ვინც ვარ. სწორია, მე **სიაჰ სიაჰ** ვარ.

ნახატი ნ. შ.




ადამი და ევა

ნაკეთობა


1. ამოჭერი დეტალები წყვეტილ ხაზზე.

ა. ი.



2. მოკეცე ისინი ისრებით მითითებულ ადგილებზე, რათა თქვენმა ნაკეთობამ შესძლოს დგომა.

3. მიაწებე ბიბლიური მუხლი.



და მიხედა ღმერთმა ყოველივეს, რაც შექმნა, და აპა, ძალიან კარგი იყო. დაბ. 1:31



შაბათი

კოტეს, ნატას და ვადის მამა და დედა მისიონერები არიან უკრაინაში. ისინი ადამიანებს უამბობენ ღმერთის შესახებ და მოუწოდებენ მათ გახდნენ იესო ქრისტეს მოწაფეები, რომელიც ადამიანთა ხსნისათვის ჯვარზე მოკვდა. მისიონერებს მეგობრები ჰყავთ გერმანიაში. ეს მეგობრები ლოცულობენ მათთვის, მათი მსახურებისთვის და ასევე ეხმარებიან მათ მატერიალურად: სწირავენ ფულს, ტანსაცმელს, რომ მისიონერებს არ გაუჭირდეთ თავად და იმდენი ჰქონდეთ, რომ გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმარონ.

ერთხელაც მათ მიწვევა მიიღეს ლუდვიგსბურგში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახისგან. ეს ქალაქი გერმანიის სამხრეთით მდებარეობს. ეს ძალიან მოულოდნელი იყო, და ცხადია ყველამ, განსაკუთრებით კი ბავშვებმა გაიხარეს. მათ არა მარტო ის უხაროდათ, რომ გერმანიაში იმოგზაურებდნენ, არამედ ისიც, რომ იქ იყო ოჯახი, რომელმაც ასეთი სიყვარული გამოამჟღავნა მათ მიმართ. გადაწყდა რომ სამუდამოდ არ დადევებზე წავიდოდნენ.

გერმანიაში გატარებულმა კვირამ ძალიან სწრაფად გაიბრინა. უკრაინელ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიურტემბერგის მეფეთა ციხე-კოშკმა. მოქონათ ზღაპრების პარკიც. არასოდეს დააუწყებდათ გოგრების გამოფენა. ასეთი რამ უკრაინელების ოჯახს ჯერ არსად ენახა: დაახლოებით ნახევარიმილიონი გოგრა იყო წარმოდგენილი მსოფლიოში უდიდეს გოგრების ყოველწლიურ გამოფენაზე ლუდვიგსბურგში. სამი ყველაზე დიდი გოგრა შემაღლებულ ადგილზე იდო და მნახველები აღტაცებით ათვალიერებდნენ მათ. გამოფენის ბოლო დღეს ამ გიგანტებს ჭრიან, და ყველა მსურველს შეუძლია აიღოს მათი თესლი. ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა გოგრამ, რომელიც 790 კილოს იწონიდა. ეს გოგრა ერთმა საქსონიელმა კაცმა გაზარდა.

ცნობილმა სკულპტორმა გოგრებისგან სხვადასხვანაირი ფიგურები დაამზადა, მათ შორის ცხოველების ფიგურებიც იყო. საინტერესო იყო ასევე გოგრებისგან დამზადებული ნაგებობით ცურვა. ერთადგილიანი „ხომალდებით“, რომლებიც დამზადებული იყო შუაზე გადაჭრილი და ამოსუფთავებული გოგრებით. მონაწილეს ამ „ხომალდით“ უნდა გადაეცურა მცირე ზომის ტბა. ყველამ მოახერხა ეს, ერთის გარდა.

სტუმრები მთელი გულით უხდინდნენ მადლობას თავიანთ გერმანელ მეგობრებს ასეთი კარგი არდადეგებისთვის, რომელიც დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ.

ნახატი ა. ბ.





ა. ზ. უკრაინა



კ. მ. 13 წლის



დ. ბ. 9 წლის, უკრაინა



ე. ი. 9 წლის, უკრაინა



ვ. დ. 9 წლის, რუსეთი



ზ. დ. 9 წლის, უკრაინა



დ. ა. 15 წლის, უკრაინა



ი. თ. 9 წლის, უკრაინა



ა. ბ. 13 წლის, უკრაინა



ვ. კ. 11 წლის, უკრაინა

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

ვალდემარ ბენსალი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:

LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,
70809-Kotmal, GERMANY.

ტან: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა "სეზანში"

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

ბპ. 12 კროსვორდი: 1. ქამი. 2. რუთი. 3. იობი. 4. სამსონი. 5. ტიმოთე. 6. ისააკი. 7. აბესალომი. 8. ნაბუქოდონოსორი. 9. იოაში. „ქრისტიანი“

ბპ. 12 რჩევა: „პატიოსანი რომ იყო სხვებთან, პატიოსანი იყავი საკუთარ თავთან.“

ბპ. 13 გაწვევითი სტრიქონები: 1. პატიოსნება - ღვთის შვილების კეთილი თვისებაა, 2. სახელი და ხვედრი ადამიანისა. 3. სიმართლე და სუფთა გული ახარებს ღმერთს, 4. პატიოსნება არ მეგობრობს სიცრუესთან არასოდეს.

ბპ. 14 ცისარტყელა: საკუთარ დანაშაულთა დამფარველს ხელი არ მოემართება, ვინც აღიარებს და მიატოვებს ცოდვას, შეწყალებული იქნება.

ბპ. 14 სანთელი: იქ, საიდანაც ის გაანათებს.



ISSN1987-720X



9 771987 720007